საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/81 "5" ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

რ. კახიძისათვის ამბროლაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს. ვინაიდან, სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნა უარყოფითად აისახება სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, თავმჯდომარის დანიშვნამდე, უფლებამოსილების მოსამართლე როინ კახიძისათვის დაკისრების თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს ყველა წევრის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, როინ კახიძეს დაეკისროს ამბროლაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2022 წლის 6 ოქტომბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე